საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთიულეთის ქედი

მთიულეთის ქედი, კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთი ტოტი, მდ-ების - მთიულეთის არაგვისა და გუდამაყრის არაგვის წყალგამყოფი. იწყება კავკასიონზე მწვ. შირიმთან და მთავრდება ზემოაღნიშნული მდ-ების შესაყართან. აგებულია იურული და ცარცული ასაკის ფლიშური ნალექებით. სამხრ.-დას. კალთა ძლიერ დანაწევრებულია და ფართო, ჩრდ.-აღმ. - ვიწრო. მოგლუვებულ თხემზე აღმართულია მწვერვალები: მთაწმინდა (2759 *მ*), ჭალისთავი (2750 *მ*), საბადლო (2802 *მ*) და წიფორი (2577 *მ*). კალთები შემოსილია შერეული ფართოფოთლოვანი (ზოგან ფიჭვნარი) ტყით, თხემური ზონა - სუბალპ. და ალპ. მდელოებით.

დ. უკლება